

## წინასწარმეტყველი და წინაწარმეტყველი ფორმათა ურთიერთმიმართებისათვის (ისტორიული ექსკურსი)

ძველ ქართულ წერილობით წყაროებში ეს მნიშვნელოვანი ბიბლიური ტერმინი რამდენიმე ფორმით დასტურდება: **წინაასწარმეტყველ-ი**, **წინასწარმეტყველ-ი**, **წინააწარმეტყველ-ი**, **წინაწარმეტყველ-ი**. მისი სტრუქტურა გაიგება როგორც ზმნიზედისა (**წინაასწარ**) და მიმღეობის (**მეტყველ-ი**) შერწყმა და ბუნებრივად დგება საკითხი მითითებულ ფორმათა დიაქრონიული ურთიერთმიმართებისა.

წინასწარვე უნდა ვთქვათ, რომ ამ რთული წარმონაქმნის გააზრება, როგორც **წინაასწარ** ზმნიზედისა და **მეტყველ-** მიმღეობის შეერთებისა ისტორიული თანამიმდევრობის აღრევას. საქმე ის არის, რომ ეს ფორმა უადრეს პერიოდში დასტურდება როგორც **წინაწარმეტყველ-ი**. მაგალითად ხანმეტი ოთხთავის ტექსტებში მხოლოდ ამ ფორმითაა: **წინაწარმეტყველი** - 23-გზის:

- არა არს წინაწარმეტყველი შეუაცხ* (მ. 13,57);
- რამეთუ ვითარცა წინაწარმეტყველი [ხეპყრა იგი]* (მ. 14,5);
- ვითარცა წინაწარმეტყველი ხაქუნდა იგი მას* (მ. 21,46);
- რომელნიმე ხიყვნეს წინაწარმეტყველ* (მრ. 8,28);
- რამეთუ წინაწარმეტყველი ხიყო* (მრ. 11,32);
- რამეთუ ვერ ხეგების წინაწარმეტყველი* (ლ. 13,33);
- ესე არს ჭეშმარიტად წინაწარმეტყველი* (ი. 6,14);
- წინაწარმეტყველსა თვისსა სოფელსა პატივი არა ხაქუს* (ი. 4,44);
- რამას გამოხუდით ხილვად წინაწარმეტყველისა* (მ. 11,9);
- ჰე, გეტყვ თქუნ და ხუმეტჴს ხოლო წინაწარმეტყველისა* (მ. 11,9);
- აღხესრულოს თქუმული იგი წინაწარმეტყველისა მიერ* (მ. 27,35);
- აღხესრულოს თქუმული იგი ესაია წინაწარმეტყველისად* (მ. 12,17);
- ყოველნი წინაწარმეტყველნი... წინაწარმეტყველებდეს* (მ. 11,13);
- რ~ ეგრე არს შჯული და წინაწარმეტყველნი* (მ. 7,12; 22,40);
- მოვაველინნე თქუნდა წინაწარმეტყველნი* (მ. 23,34);
- მოხწყედენ წინაწარმეტყველნი* (ლ. 13,34);
- შჯული და წინაწარმეტყველნი ვიდრე იოჰანსსამდე* (ლ. 16,16);
- წინაწარმეტყველნი მოწყდეს* (ი. 8,52);
- ხიძიოს სისხლი ყოველთა წინაწარმეტყველთა* (ლ. 11,50);
- ერთი არა წარჯდეს შჯულისაგანი და წინაწარმეტყველთა* (მ. 5,18);
- ხაშწნებთ საფლავსა წინაწარმეტყველთასა* (მ. 23,29);

ხვეწებით მათ თანა ზიარ სისხლსა მას წინაწარმეტყუელთასა (მ. 23,30);

ნაშობნი ხართ მკლველთა წინაწარმეტყუელთანი (მ. 23,31);

სხუათა (თქვან): იერემია გინა ერთი წინაწარმეტყუელთაგანი (მ. 16,14).

აგრეთვე: ცრუვ-წინაწარმეტყუელი:

ხეკრძალენით ცრუვ-წინაწარმეტყუელთა (მ. 7,15).

ხოლო ზმნური ფორმით წინაწარმეტყუელება 3-ჯერ:

სახელითა შენითა ვწინაწარმეტყუელდებით (მ. 7,22);

ყოველნი წინაწარმეტყუელნი... წინაწარმეტყუელდეს (მ. 11,13);

წინაწარმეტყუელა თქუენთჳს ესაია (მ. 15,7).

თუ რაოდენ დიდი ხნისაა ეს წარმონაქმნი, ეს ჩანს პირის ნიშნის დასმაში მთლიანი ფორმის წინ: ვ-წინაწარმეტყუელდებით (მ. 7,22).

საგულისხმოა, რომ ამ წარმოების გვერდით დამოუკიდებლად უკვე არსებობს ზმნიზედა წინააღწარ:

იგი წინააღწარ ბირებულ ხიყო დედისაგან თჳსისა (მ. 14,8);

რადთა არა წინააღწარ ხიწურთიდეთ (ლ. 21,14).

ეს იმას ნიშნავს, რომ პარალელურად არსებობს ზმნიზედის სადა და ფლექსიური ფორმები: წინა და წინა-აღს ისევე, როგორც სხვა ზმნიზედებში: უკუნა და უკუნა-აღს/უკუნ-ის; გუშინ და გუშინ-ის, ძოღან და ძოღან-ის... (ლოკალურ ბრუნვებს არ ვეხებით, რადგანაც მათ შინაარსობივი დატვირთვა აქვს).

ამდენად, მეტი გარკვეულობისათვის, წინაწარმეტყუელ-ი თავისი პირველადი არსით „წინააღწარ მეტყუელი“ კი არ არის (ეს გვიანი გადააზრების შედეგია), არამედ - „წინა წარმეტყუელი“; ანუ იგულისხმება, რომ ზმნიზედა (წინდებული) დაერთვის ზმნისწინიან ფორმას. წინა-წარმეტყუელი არის სტრუქტურული ანალოგი ბერძნული (სეპტუაგინტას) წინდებულით ნაწარმოები ტერმინისა προφῆτης (<- προ „წინ“ და φῆται „თქმა“), რისი კალკიცაა, ასევე, სლავ. про-рок (рок იგივე рек/речь „მეტყველება“).

შესაბამისად, წარ-მეტყუელი არის წარ-იტყვის ზმნის სასუბიექტო მიმღეობა. წარ-იტყვის და წარ-მეტყუელი ფორმები ნაკლებად დასტურდება, მაგრამ ფაქტია:

მღდელნი ყ~ლსა ზ~ წარიტყოდიან ლ~ცვათა (H 1661, 87r, 24);

ოდეს იგი დაჰკლვიდენ ლ~ცვათა წარიტყვის მღდელი ზუარაკსა მას ზ~ (S-143, 79r, 3-4);

ლოცვათა მათ... შეფიცებისათა წარვიტყვიით მ~თ ზ~ (S-143, 78r, 2-3);

და წარიტყოდა უმცირესი იგი ხუთხუთსა ფსალმუნსა (მამისა მაკარისთჳს მეგვპტელისა, ანბანური პატერიკი).

შესაბამის მიმღეობის არსებობას სულხან-საბა ადასტურებს: წარმეტყუელი პირველ მთქმელი.

ასევე, ამგვარი მიმღეობური წარმოების რეალურობას ადასტურებს:

<sup>1</sup> კ. დანელია აღნიშნავს: „ერთადერთი ფუძე, რომელთანაც წინა(აღს)წარ ზმნისწინად გაიგება, არის წინა(აღს)წარმეტყუელი. მართალია, ის აგებულებით ბერძ. προφῆτης ტიპისაა, მაგრამ ქართულში ძალიან ადრე (ბიბლიის თარგმნამდე) უნდა არსებულიყო, რადგან ორგანულ, მარტივფუძიან სიტყვად აღიქმება და არა კომპოზიტად (ზმნიზ. წინააღწარ + მიმღ. მეტყუელი). ეს იქიდან ჩანს, რომ პირიერი ფორმები მარტივფუძიანის მსგავსად ეწარმოება: გწინაწარმეტყუელდ ჩუენ (26,68); ვწინაწარმეტყუელდებით (მ. 7,22) (და არა: წინაწარ-მეტყუელდებით) (კ. დანელია 1998, 54).

ერთი მხრივ, **წარმო-იტყვის**: ჩემთა წიგნთა ზეპირით წარმოიტყოდა და განმძმარტებდა (აგ. ძ., 1, 1954, გვ. 145) და **წარმო-მეტყუელი** („მომასწავებელი“ - ზ. სარჯვ.): საჩინოებისა გუარი ერთი იგი მსგავსებით წარმომეტყუელი (A=684 94v, 6-7);

მეორე მხრივ, ამ ზმნათა სუპლექტივიზმის გათვალისწინებით:

**წარ-თქუმა** (ესე ვითარცა წართქუა, ვიდოდა (ლ. 19,28);

**წარ-თქუმული** (ითქუმის მისთვის, ვითარმედ წართქუმულ მის მიერ სამ ათასთა იგავთა და ხუთ ათასთა შესხმათა (შატბ. კრებ. 250, 32);

**წარ-მითქმელი** (დღესა ერთსა, შესრულმან, ვედრებისა წარმითქმელმან წინაშე ხატსა... (ჯუანშ. 212,13);

განსაკუთრებით:

**წინასწართქუმული** (მან მოაქსენა წინასწართქუმული (A=689 198v, 25-26b) და

**წინაწარმომთქუმელი** (ესოდენისა წინაწარმომთქუმელნი დღისათვის შემდგომობად სიტყვისა მივიდოდით (A=129 275r, 22-24a).

ამკარაა, რომ როგორც **წინა** ამოსავალია **წინას** ფორმისა, ასევე ზმნიზედისა და ზმნისწინის კომბინაცია **წინა-წარ-** უსწრებს **წინას-წარ-** კომბინაციას; შდრ.:

და *მეყსულად აიძულა მოწაფეთა შესლვად ნავსა და წინა-წარდღუანვად მისა წიაღკერძო* (მათე 14,22).

**წინა-წარგიდლე თქუნ** (მთ. 26,32 DE. C: წარგიდლე);<sup>2</sup>

*რომელნიმე წინასწარსწრობად მოსწრაფე იყვნეს* (აგ. ძეგ. 1, 19,2).

მაგრამ უძველესი წყაროები ადასტურებს, რომ სწორედ მეორეული კომბინაცია გამონაწევრდა, როგორც დამოუკიდებელი ზმნიზედა; როგორც ვნახეთ, **წინასწარ** ავტონომიური ლექსიკური სტატუსით უკვე ხანმეტ ტექსტებში ჩანს. თუმცა ერთეული შემთხვევა ამ სახით **წინაწარ** ფორმისაც დასტურდება, მაგრამ ის არ დამკვიდრებულა:

*უფალი განვიდეს წინაწარ შენსა* (მსჯ. 4,14 G).

ახალი ზმნიზედა **წინასწარ** უკვე დამოუკიდებლად იწყებს ზმნური წინდებულის ფუნქციის შესრულებას და წარმოიქმნება სტრუქტურები, რომლებშიც ის ამკარად დაუნაწევრებელი ოდენობაა და ზმნისწინებთან ახალ კომბინაციასაც იძლევა: **წინასწარ-ღალადება**, **წინასწარ-მხილველი**, **წინასწარ-ხედვა**, **წინასწარ-შე-ცოდებული** და სხვ.

ამიტომაც არის მნიშვნელოვანი ერთმანეთისაგან გავარჩიოთ ეს მეორეული ფორმები და პირველადი ზმნიზედების გამოყენების ისეთი შემთხვევები, როგორებიცაა უკვე წარმოჩენილი **წინა-წარმეტყუელი** და მსგავსნი:

**წინა-წარმავალი** (ვისი ხარ და სადა წარხუალ და ვისნი არიან წინაწარმავალნი ესე შენსა (შესაქ. 32,17 B);

**წინა-წარდღუანებული** (ქრისტეს წინაწარდღუანებულნი იგი მსხუერპლნი, ყრმანი დაკლულნი, ღალადებდეს (A=162 173v, 13-15a);

**წინა-წარქცევა** (ნეშტი იგი წინა-წარიქციეს (I ეზრა 1,56 O);

**წინა-წარსწრობა** (რომელნიმე წინასწარსწრობად მოსწრაფე იყვნეს (აგ. ძეგლ. II 19,2) და სხვ.

<sup>2</sup> ადიშური ვერსიის ჩვენება მოწმობს, რომ **წარგიდლე** ფორმა აკმაყოფილებს შინაარსეულ დატვირთვას, ხოლო **წინა-** „ჭარბი“ ელემენტია და მისი გაჩენა დედნისეული გავლენის შედეგი უნდა იყოს.

ამგვარად, წინასწარ ფორმის ისტორია ავლენს ენობრივ ერთეულთა წარმოქმნის ერთ-ერთ მექანიზმს: რთული ფორმის რეინტერპრეტაციის შედეგად გარკვეულ მორფემათა კომბინაციის „გამონაწევრება“ არის სიტყვაწარმოების ერთი ფაკულტატიური საშუალება. წარმოდგენილი შემთხვევა, როგორც ჩანს, ამ თვალსაზრისით კერძო და იზოლირებული ფაქტი არ არის. ამგვარი სტრუქტურა - ზმნიზედა წინა + ზმნისწინი - საკმაოდ პროდუქტული ჩანს ძველ ქართულ მწიგნობრულ სიტყვაწარმოებაში. კერძოდ, ამგვარი კომბინაციაა წინა-წარ-, რომელიც განსაკუთრებით წინაწარმეტყველ- ცნების წარმოქმნაში ვლინდება.

### ლიტერატურა:

1. ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ. 2016
2. კ. დანელია, უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში. 4. ბერძნულ ადგილობრივ ზმნისწინთა გადმოცემისათვის ძველ ქართულში. - მაცნე, 1981, # 2 (დამოწმებულია წიგნიდან: ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, ტ. 1, თბ. 1998)
3. ირ. ვეშაპიძე, ზმნისწინი ქართულ ენაში, თბ. 1967
4. ივ. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში, ნაწილი II, მაინის ფრანკფურტი, 1996
5. პავლენი, გამოსაცემად მოამზადეს ქ. ძოწენიძემ და კ. დანელიამ, თბ. 1974
6. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ. 1984
7. აკ. ურუშაძე, ძველი ბერძნული ენა, თბ. 1969
8. ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ. 1973

Avtandil Arabuli

Georgian National Academy of Sciences

Tbilisi, Georgia

### One word with two transcription in Old Georgian

#### Abstract

In Old Georgian manuscripts word “წინასწარმეტყველი” has some forms: წინასწარმეტყველ-ი, წინასწარმეტყველ-ო, წინაწარმეტყველ-ი, წინაწარმეტყველ-ო. Its structure can be understood as a combination of an adverb (წინასწარ) and a recipient (მეტყველ-ო) and the question of the diachronic relationship of the indicated forms naturally arises. This form is attested in the earliest period as a forerunner. For example, in the four-chapter texts, Khanmet is only in this form: pre-deceitful – 23 times.

The history of the prehistoric form reveals one of the mechanisms of formation of linguistic units: as a result of the reinterpretation of a complex form, the “break-up” of certain morpheme combinations is one facultative means of word formation